უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 43

20 14 წ. "25" 12

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404439247) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 25 დეკემბრის №15 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
თინათინ ბრეგვაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა 2. ქრისტრიანული ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა 3. ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა 4. ხატწერის საგანმანათლებლო პროგრამა 5. დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამა 6. საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) საგანმანათლებლო პროგრამა	1. თეოლოგიის ბაკალავრი 2. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი 3. ქრისტიანული ფსიქოლოგიის ბაკალავრი 4. ხატწერის ბაკალავრი 5. დაზგური ხატწერის რესტავრაციის ბაკალავრი / მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ბაკალავრი 6. საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) ბაკალავრი
მაგისტრატურა	1. თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	1. თეოლოგიის მაგისტრი
დოქტორანტურა	1. თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა (პატროლოგია, ეკლესიის ისტორია - მოდული ა) მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია; მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ბიბლეისტიკა - მოდული ა) ძველი აღთქმა. მოდული ბ) ახალი აღთქმა, ლიტურგიკა, საეკლესიო სამართალი)	1. თეოლოგიის დოქტორი